383

№ 289. ხუთშაბათი, 21 აგვისტო. 1896-1897 ხუთშაბათი, 21 აგვისტო. № 289.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ელის მომწყრნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ
ედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და
ალამოს 6—7 ათამდე და „წერა-კითხვის გამავ.
ელმოუწერელ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.

ირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება
ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონ იპირველ გვერდზე 10 კაპ.
მეოთხეზე 5 კაპ.

Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Фрейлинская № 13.
Телефонъ № 363.

ამა წაიკითხო რასა სწერენ „განცხადებათა მნიშვნელობაზე"

განცხადებათა მნიშვნელობა

(საყოველთაო ყურად-საღები)

ვინ არ იცის ჩვენს დროში განცხადებათა მნიშვნელობა?

ხალხთა ცხოვრებაში განცხადება ისეთს უცილობელს საჭიროებას შეადგენს, ვითარცა „პური ჩვენი არსობისა".

განსაკუთრებული და დიდი მნიშვნელობა აქვს განცხადებას ვაჭრობასა, აღებ-მიცემასა, მრეწველობა-მეურნეობაში და სხვა.

ჩვენს დროში არაფერი არა კეთდება-რა, არაფერი არა ხერხდება-რა უგანცხადებოდ.

რაც-კი გინდა, რა საქმე და ხელობა გინდა, რომ უგანცხადებოდ გაკეთდეს, უგანცხადებოდ განვითარდეს და გაძლიერდეს?

ყოველი მცირე თუ დიდი საქმე, უბრალო მუშა, ხელოსანი, ამა თუ იმ საქმის კაცი, მწარმოებელი და მყიდველი, მრეწველი, დამზოგველი თუ მხარჯავი, რისამე დაწყება-მოგვარება და მოშენება კერძო თუ საერთო,—სულ ყველაფერი თხოულობს განცხადებას, გამოქვეყნებას, გაგებინებას, რადგან მხოლოდ განცხადება-ღა ავრცელებს ყველასა და ყველგან ამა თუ იმ საქმეს.

ვაჭარი აცხადებს თავისს საქონელს და სავაჭროს, მეურნე—ჭირნახულს, მრეწველი—ნაწარმოებს, ხელოსანი—თავისს ნახელოვნურს და გაკეთებულს, მქარხნე—ნაწარმოებს და მანქანებს, გზები რკინისა და ზღვისანი—მიმოსვლის ჟამსა და ფასებს, სკოლები და მასწავლებელნი—სწავლის პირობებს, სასტუმროები და საგუჩნავები—თავიანთს მოწყობილებას, სანოვაგეს და საჭმელ-სასმელის ღირებულებას, ბანკები და საკრედიტო დაწესებულებანი—თავიანთ საქმის წარმოებას, სტამბები, წიგნის მაღაზიები და გამომცემელნი—წიგნებს და გამოცემათ, ავტორები—თავიანთს თხზულებათ, თეატრები—წარმოდგენებს, ექიმები, ვექილები და სხვანი—თავიანთს ხელობას, ჟურნალ-გაზეთები—თავიანთს ფასებს და პირობებს, ჭირისუფლები—გარდაცვალებულებს და სხვა ათას გვარ საურთიერთო საჭიროებას და მოთხოვნილებას...

ერთის სიტყვით, ისეთი არა არის-რა ცხოვრებაში, რომ ამა თუ იმ საშუალებით განცხადებას არ საჭიროებდეს თვისდა სასარგებლოდ და სხვათა საყურადღებოდ.

ევროპაში, განათლებულს ქვეყნებსა და ხალხებში განცხადებათა მნიშვნელობა არა თუ დიდი ხანია რაც შეიგნეს, პირიქით გადააჭარბეს კიდეც... უცხოეთში სულ ყველაფერი განცხადებაზეა დაფუძნებული. იქ განცხადებებზე ზღაპრულ ფულს ხარჯავენ და ზღაპრულ განცხადებებსაც იგონებენ!..

ევროპისა და ამერიკის არა თუ დიდრონი სავაჭრონი, მქარხნენი და მწარმოებელნი, არამედ სრულებით პატარა ვაჭრები და საქმის პატრონიც ყოველ წლივ ასი-ათასი მანათობით ხარჯვენ განცხადებებზე, რადგან გამოცდილებიდან იციან, რომ განცხადებაზე დახარჯული ფული ერთი ათასად და ათი ათასად უკან შემოუდით!..

მართლაც, ადამიანა გონების თვალით რომ დაუკვირდეს, აღებ-მიცემისა და ვაჭრობის სულის ჩამდგმელი და გამაცოცხლებელი, გამაძლიერებელი და გამავრცელებელი ერთად ერთი საშუალება-დაა—**განცხადება.**

რაც უფრო ბევრმა იცის, რაც ბევრს აქვს გაგებული ამა თუ იმ სავაჭროს თუ სხვა რამ საქმის ამბავი, მით უფრო მეტი საბუთია ვაჭრობის გავრცელებისა და მუშტრის მიპოვებისათვის.

ამერიკის, ევროპისა და ზოგიც რუსეთის გაზეთები მხოლოდ განცხადებით-ღა არსებობენ, ისეთ დიდძალ განცხადებათა ჰბეჭდავენ ხოლმე.

საქვეყნოდ ცნობილ ინგლისურ გაზეთ „ტაიმსის" (Times) გამომცემელმა თავისს ქალს მზითვად მისცა გაზეთის მხოლოდ ერთი სვეტი განცხადებათა (ჩვენებურს სიძეებს ეგ გარემოება სასაცილოდაც არ ეყოფათ!) და უმდიდრეს საცოლოდ ითვლებოდა. წელიწადში ქალს ერთი სვეტიდან შემოუდის 5,700—5,800 გირვანქა სტერლინგი (ჩვენებურ ფულზე 57,000—58,000 მან.) და ეგ შემოსავალი ყოველ წლიური და საშვილიშვილო,—თითქმის 2 მილიონი მან. თანხის სარგებელია! ოღონდაც რომ კარგი მზითევია!

თუ ამერიკელნი დროს ფულს უძახიან, განცხადებას მოგება უნდა ეწოდოს!

განცხადებათა ნიხრი „ცნობის ფურცელში"

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ **10** კაპ., მეოთხე გვერდზე **5** კაპ. თვითო ჯერ.

ვინც განმეორებით დაბეჭდავს განცხადებას, იმას დაეთმობა 25%-დან 50%-მდე, იმის-და მიხედვით, თუ რამდენჯერ იქნება განმეორებით დაბეჭდილი ერთი და იგივე განცხადება.

შეღავათიანი განცხადება

„ცნობის ფურცლის" რედაქცია იმ პირთ, რომელთაც სჭირდებათ განცხადება რაიმე საქმის მოსაპოვებლად, მაგ.: მასწავლებლებს, მოწაფეთ, ექიმებს, ვექილებს, მთარგმნელებს, წიგნების გამომცემელთ და სხვათა, განცხადებას უბეჭდავს სულ მცირე ფასად: სტრიქონი პირველ გვერდზე **3** კაპ. (ორი შაურის მაგიერად) და უკანასკნელ გვერდზე **2** კაპ. (შაურის მაგიერად).

ქართული თეატრის ამხანაგობის გამგეობა
ამით საყოველთაოდ აცხადებს,
რომ იგი დამდეგის სეზონისათვის იწვევს
ყველა სცენის მოყვარეთ, რომელთაც ჰსურთ
ქართულ სცენაზე სამსახური
მსურველნი მიჰმართვენ: პავლე როსტომის ძე ყიფიანს.
ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში.

ამხანაგობა სთხოვს აგრეთვე ყველას, ვისაც-კი
ორიგინალი ანუ ნათარგმნი პიესა აქვთ ქართულ ენაზე
წარმოადგინონ თავის პირობებით იმავე ადრესით: **П. Р. Кипіани.**
(10—1)

ყმაწვილი კაცი
ეძებს სამუშაოს: ამზადებს საშუალო სასწავლებლის დაბალ კლასების მოწაფეებს; იღებს სავაჭრო კანტორების სამუშაოს, რუსულ და ქართულ ნაწერების გადაწერას და სხვ. პირობების შეტყობა შეიძლება „ცნ. ფურც." რედაქციაში 10—1 საათამდე დღისით პირადათ და წერილობით ყოველ-დღე.

კერძო საპროფესიონალო სახელოსნო
ალექსანდრა არკადის ასულის მირზოევისა
(ტფილისი, პუშკინის ქუჩა, თავ. არღუთინსკის სახლებში).
სახელოსნოში ზედ-მიწევნით ასწავლიან ჭრას, კერვას, ხელ-საქმობას, ქსოვას, ქარგვას და ტეხვასაც.
სახელოსნო ღებულობს როგორც ტფილისელ, აგრეთვე ქალაქ გარეშე მცხოვრებთა ბავშვებს.
სახელოსნოში მიიღებიან ბავშვები პანსიონერებადაც. მსურველთ ბავშვების შესაყვანად უნდა მიჰმართონ სახელოსნოს 1 აგვისტოდან თვის დამლევამდე.
(5—4)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა.
დილაობით:
ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასიანცი, დილის 11—12 საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანი და ბავშვებისა.
ა. გ. გურკო. დღით 1½—2½ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.
სალამოობით
ა. მ. პუდინოვი. 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.
ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა—დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.
Первая частная лѣчебница *Д-ра Навасарджіана*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში
სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნიარ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 სათამდე.
შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.**
საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. კ. ბერრატი.**
დედათა ავად მყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**
თვალების ავადმყოფობას—**ი. კ. ვარშავსკი.**
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
სამკურნალოს დირექტორი **ს. ბ თოფურია.**
Лѣчебница *С. В. Топуріа* въ Кутаисѣ.

კანონი და მთავრობის განკარგულება.

სამხედრო უწყება. უმაღლესად ებოძათ: [illegible] თავ. ამილახვარს—ხორუნჟობა; პორტუპეი იუნკერებს: ციკლაურს, ზედგინიძეს—და საგინაშვილს—პოდპორუჩიკობა; იუნკერს თ. მაჩაბელს—პოდპორუჩიკობა და იუნკერს კობიაშვილს—კორნეტობა.

ახალი ამბავი

⁂ **ქართული თეატრის საქმე.** ჩვენდა სანუგეშოდ ქართული თეატრის საქმე თან-და-თან წინ მიდის: ქართული თეატრის გამგე ამხანაგობა უკვე აცხადებს, რომ იგი ღებულობს გამოსაცდელად ყველა სცენის მოყვარე ქალს თუ ვაჟს, რომელნიც მოისურვებენ დამდეგის სეზონისათვის სამსახურს ქართულ სცენაზე.

აგრეთვე ხსენებული ამხანაგობა სთხოვს ყველას, ვისაც-კი ორიგინალი ანუ ნათარგმნი პიესები ა[illegible] წარუდგინონ ამხანაგობის წევრ. ა[illegible] პავლე ყიფიანს პირველ არსენ[illegible] ქ[illegible]ჩაზე, საკუთ. სახლში. პიესებს ერთად პირობებიც უნდა იქმნ[illegible] მოდგენილი. ამხანაგობას გ[illegible] ყვეტია, ავტორებს შესაფერ[illegible] ყიდელები მისცეს. ერთის სიტ[illegible] ამხანაგობა, როგორც ეტყობა, [illegible]სა და მეცადინეობაშია, რომ დამდეგს სეზონში თეატრი ჯეროვან ნიადაგზე დააყენოს,—ღმერთმა ხელი მოუმართოს ამ სასარგებლო საქმეში.

⁂ **ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა წარსულის კრების გამო.** ჩვენს მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, რომ თავად-აზნაურთა წარსულს არჩევანების გამო ასტყდა ჩივრები. გუშინ ჩვენს გაზ[illegible] დასტამბული გვქონდა იმ პირთა სია, რომელნიც, თანახმად არჩევანებისა, დაუმტკიცებია ა. კავკასიის მთავარმართებელს მაზრის წინამძღოლებად, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამ სიაში არ არიან მოთავსებულნი: დუშეთის მა-

ზრის წინამძღოლად არჩეული გ. ა. ყარანგოზიშვილი და სიღნაღის მაზრის წინამძღოლად არჩეული—თავ. ი. ი. შალიკაშვილი.

ხოლო რაც შეეხება თავ. კ. ი. მუხრან-ბატონის დამტკიცებას, რომელიც ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად იქმნა არჩეულ,—ეგ საკითხი წარადგინეს შინაგან საქმეთა სამინისტროში განსახილველად.

⁂ **ტფილისის ოლქის სასამართლოს განყოფილება თიანეთის მაზრაში.** გუშინ სოფ. თიანეთში გაემგზავრნენ ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრნი: ვ. ფ. პოდალკო და ლ. ნ. სტოიანოვსკი, მდივანი ნ. ი. ბრომელი და თარჯიმანი ს. კ. მელიქ-სარქისოვი და შეუდგებიან განხილვას იმ დავა-საჩივრებისას, რომელნიც მათაქი-მარელისის გამიჯვნის დროს ატეხილა მემამულეთა შორის.

⁂ **ქაღალდის ფულის შესახებ.** რუსეთის გაზეთები იუწყებიან, რომ სახელმწიფო ბანკის განყოფილებებში და სახაზინოებში მალე მოისპობა მანათიანისა და სამ—მანათიანის ქაღალდის ფულის ხმარება და მათ მაგივრად მოჭრილ იქმნ. ძვირფასის ლითონის ფული.

⁂ **მთავარ მართებლის მოგზაურობა.** კავკასიის მთავარ მართებელი ამ თვის 24 საღამოს $9^{1}/_{2}$ საათზედ გაემგზავრება ყარსის ოლქისკენ. აქსტაფამდინ რკინის გზით და აქსტაფიდამ ცხენით. უკან დაბრუნდება 7 სექტემბერს.

⁂ **ტფილისის გუბერნატორს** ქალაქის თვით მართველობის თავის მოადგილემ წარუდგინა სახელ-გვართა სია მზრუნველ სანიტარებისა და მათი თანაშემწეებისა.

⁂ **პოლიციის არხივის გადარჩევა.** პოლიციის არხივის გადამრჩეველთა კომისია სთხოვს ტფილისის გუბერნატორს, რადგან არხივი უკვე გარჩეულ იქმნა და საჭირო საბუთებიც ანუსხულია, 130 ათასი საქმეს უნდა დაიწვასო, რაზედაც ჯერ ნება არ მიუღია კომისიას.

⁂ **მალაკნების თხოვნა.** ტფილისელმა 60 ოჯახმა მალაკნებისამ სთხოვა კავკასიის უმაღლეს მთავრობას, რომ მთავრობამ თითო ოჯახს [illegible] ხუთას-ხუთასი მანათი ვალად, აქეთ რასაც პირდებიან საყოველთაო [illegible] ობით გადიხადონ [illegible], [illegible] საშუალება მიეცე[illegible], სადაც ეხლა სცხოვრობენ, [illegible] გადიტანონ თ. ხიმ[illegible]ქვილის მამულში ვერაზედ.

⁂ **ტფილისის მოქალაქეთა მამასახლისის უწესოება.** 19 აგვისტოს ტფილისის გუბერნატორს წარუდგინეს ტფილისის მოქალაქეთა დეპუტაცია, რომელმაც მოახსენა სხვა და სხვა უმართებულო და უკანონო მოქმედებანი თავისს მამასახლისის ედიგაროვისა. ამასთანავე დეპუტატებმა სთხოვეს ბ. გუბერნატორს, რომ მან უბძანოს მამასახლისს ედიგაროვს და აჩქაროს დეპუტატების არჩევანი, რომელიც აგერ 1895 წლიდამ არის დარჩენილი და ჯერაც არ გათავებულა, თუმცა დეპუტატები თითო წლით აირჩევიან ხოლმეო.

⁂ **საქონლის ზიდვა რკინის გზით.** შინაგან საქმეთა მინისტრს კავკასიის მთავარ-მართებელთან შეთანხმებით დაუდგენია, რომ საქონლის ჯოგი აუცილებლად უნდა რკინის გზით იგზავნებოდეს ხოლმე დანიშნულ ადგილებამდე ამიერ კავკასიაში, რომ საქონლის ჭირის გავრცელებას ამით როგორმე გზა შეეკვეცოს. ამიერ-კავკასიის რკინის გზა გაყოფილია ათ საბეითალო ნაწილად. ამ ჟამად შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუნიშნავს განსაკუთრებითი ბეითალ-ექიმები შემდეგ ადგილებში: ბაქოში, განჯაში, ტფილისში და ქუთაისში. დანარჩენ ნაწილებში რკინის გზის საბეითალო გამგეობა დროებით ჩაჰბარდებათ ადგილობრივ ბეითალებს.

⁂ **ახალი კანონი კავკასიაში.** როგორც ტფილისში მიღებულ ცნობებიდამ სჩანს, ამიერ კავკასიაში შემოღებულ იქმნება კანონი 1879 წლის 3 ივლისისა, შესახებ ჭირიან საქონლის დახოცვისა. დახოცილ საქონლის პატრონს ფასი მიეცემა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანხიდამ.

⁂ **აუცილებელი მოთხოვნილება ღერბის მარკების ყიდვისა საფოსტო განყოფილებებში.** გაზეთ ,,კავკაზს'' ზუგდიდიდან სწერენ, რომ ღერბის მარკების ყიდვა საფოსტო განყოფილებებში, — როგორც გამოცხადებულ იყო გაზეთებში ამას წინად, —აუცილებელი საჭიროებაა, მეტადრე იმ ადგილებში, სადაც ხაზინები არ არსებობენო. ყველამ იცის, რომ ამისთანა ადგილებში მარკებს და ვექსილის ქაღალდებს ყიდიან კერძო ვაჭრები და თუ რამოდენა ფულს იგებენ ისინი, შეიძლება შემდეგიდამ გავიგოთო. შარშან მარტში და აპრილში მარტო სამეგრელოს თავად-აზნაურობამ თავისუფლების დასამტკიცებლად დახარჯა ერთი მილიონი მანათის ღერბის მარკები, რომლებსაც ყიდულობდენ ვაჭრებისაგან ოთხაბაზიანს მანადათ. მიტომ მთავრობა აუცილებლად უნდა ცდილობდეს, რაც შეიძლება დააჩქაროს საფოსტო განყოფილებაში ღერბის მარკების ვაჭრობის შემოღება, რომ ისედაც გაჭირებულ ხალხს საქმე უფრო არ გაუჭირდეს მედუქნესთან მარკების ყიდვით, სადაც ერთი ორათ და მეტიც უნდა დაუთვალოს მადა აშლილ ვაჭარს!

⁂ **დაუსრულებელი ხიდი და საერთო შეწუხება.** სოფ. გორის დასავლეთ-სამხრეთის მხრით უძევს სოფ. სუმაჩახო, რომელიც მდ. ცხენის წყლის გაღმა-გამოღმა ნაპირებზედ არის გაშწკრივებული. აქ ერთად-ერთი საშუალება მცხოვრებთათვის ხიდი იყო, რომლის შემწეობით სოფლელები გადი-გამოდიოდნენ, მაგრამ რამოდენიმე ხანია უხიდობამ შეაწუხა ხალხი. ამ ბოლოს დროს რის ვაი ვაგლახით რკინის ხიდს ეს თემიც ეღირსა, მაგრამ რა გამოვიდა, თუ კი ჩვენს სიცოცხლეში არ მოგვესწრება ხიდი. დალოცვილ ოსტატებს ერთმანერთში მტრობა ჰქონიათ და ამით ხიდის კეთებაზე სრულებით ხელი აიღეს და არ ასრულებენ. უამისოდაც დიდის ხნით ვადა გასულია პირობისა, ურიგო არ იქმნება მოიჯარადრე ყურადღებას მიაქცევდეს და მის ვალდებულებას ასრულებდეს, თორემ შენი მტერი შევწუხდით სენაკის, ქუთაისის და ლეჩხუმის მაზრა, ამ გაუთავებელ ხიდის გამო.

— **ურიგო ვაჭრობა.** აქვე არის, სხვათა შორის, ერთი ქვითკირის დუქანი, რომელშიაც იყიდება ღვინო, არაყი და მასთან სხვა-და-სხვა წვრილმანები აღმატებულის საფასად, მაგრამ გასაკვირველი ის არის, რომ ვაჭრობა ნება დართული არ არის. რატომ ჩადიან სხვის საზარალო საქმეს და ანუ რატომ რიგიანს ნიხრზე მაინც არ ჰყიდიან საქონელს ეს დალოცვილები.

ქაღალდის თამაში აკრძალულია მთავრობისაგან, მაგრამ მაინც არა გაეწყო-რა და გამუდმებული თამაშობაა ბანქოსი.

კარიეთელ-გორდელი

ქუთაისი—შავი-ქვის მწარმოებელთა შუამდგომლობა. ამ მოკლე ხანში მიემგზავრება ქ. პეტერბურღს შავი-ქვის მწარმოებელთა რჩევა—გამგეობის თავმჯდომარე გ. ფ. ზდანოვიჩი, რათა იქ, მთავრობის წინაშე, დაიცვას ის შუამდგომლობანი, რომელნიც აღძრა წარსულს წელს მწარმოებელთა საზოგადო კრებამ.

— **ქართული თეატრის საქმე.** სათეატრო კომისსია წარსულს წელს ქუთაისში მართავდა ხოლმე ქართულს წარმოდგენებს დრამატიულის საზოგადოების ხელმძღვანელობით. წელსაც ეგ კომისსია აპირებს გამართოს ხოლმე წარმოდგენები. რეჟისსორად უკვე მიუპატიჟნიათ ვ. ს. ალექსი-მესხიშვილი და დასიც შეუდგენიათ, განსაკუთრებით ადგილობრივის სცენის მოყვარეთაგან. რეპერტუარიც აღნიშნული აქვთ, თურმე, და მათ შორის ბევრი ახალი (ნათარგმნი) პიესებიც აქვთ.

⁂ **ქუთაისი. მოჭადრაკებული ვაჭრობა.** ამ თვის 9-ს აქაურს საგუბერნიო მართველობაში ვაჭრობით გაიცა სენაკისა და ანაკლიის გზების გაკეთება მათის ხიდებ-ბოგირებითურთ. გარეგნობით და ფორმალურად ვაჭრობა დაიწყო და გათავდა ისე, როგორც რიგი და ჩვეულება არის—მყუდროთ და კანონის მუხლების წესთა დაცვით. მაგრამ ვაჭრობის გათავების შემდეგ თავი იჩინა იმისთანა გარემოებამ, რომელმაც მიიქცია ყველას ყურადღება, რადგანაც ამისთანა გარემოებანი თან ახლავან, თურმე, ყველა სხვა ამ გვარ ვაჭრობათა და შეადგენენ გადამდებსა და ჯერ უკურნებელს სენს ჩვენში სათემო (ЗЕМСКІЙ) გზებისა და ხიდების გაკეთების საქმისას...

ამ ჩვენგან აწერილს შემთხვევაში საქმე ასე ყოფილა: ორს იჯარადარს ჰ. და ვ. გადაუციათ ერთის ქუთაისის „ფეხზე-ვაჭრისათვის", ნ... სთვის 700 მ., რომ ამ ფულით მას სხვა მოვაჭრეებიც უნდა მოეშორებინა სენაკის გზის გაყვანის ვაჭრობისაგან და თვითონაც უნდა მოშორებოდა მათ. ნ—ძემ იკისრა ეს საქმე, მოელაპარაკა დანარჩენ მოვაჭრეებს, რომელთაც მოურიგდა კიდეც, მაგრამ როცა ვაჭრობა გათავდა და იჯარადრებმა გულის წადილი აისრულეს და საქმე ქრთამის დარიგებაზე მივარდა, ნ—ძემ ჩამორჩენა მოინდომა და უთხრა მათ, ვისთვისაც ფული უნდა დაერიგებინა, რომ მე 700 მანათი-კი არა 500 მანათი მქონდა მობარებული და ეს ფული უნდა გავიყოთო.

ამაზე ასტყდა ისეთი აურ-ზაური და დავიდარაბა, რომ კინაღამ წუთის სოფელს გამოასალმეს ჩვენი ნ... და გამოასალმებდნენ კიდეც, რომ პოლიცია არ გარევოდა და დროზე ზომები არ მიეღო ჩვენს მხნესა და საქმიანს პოლიცმეისტერს კ. სვიმონოვს, რომლისათვის ,,არარა არს დაფარული, რომელიც არ გამოცხადდეს." ამ ნაირად ბ-ნმა პოლიცმეისტერმა გადაარჩინა ნ... სიკვდილს, მაგრამ ჩვენ, ხალხს, ვინღა გადაგვარჩენს ამისთანა მოჭადრაკებულს ვაჭრობისაგან, რომელთა შედეგი ის არის, რომ ერთი და ორი იჯარადარი თავიდან იშორებს მეტოქეებს და მანეთიანს საქმეს ხუთად იღებს და მით მდიდრდებიან და ისინი-კი, ვისიც ფული იხარჯება—გადამხდელი ხალხი თან-და-თან ღარიბდება... თუ რამდენათ ზარალის მომტანია იჯარადრებისაგან მეტოქეების დაქრთამვა, რამდენად ზევით სწევენ ფასებს ამ ხრიკის წყალობით, სჩანს იქიდან, რომ სენაკის საქმე, რომელშიაც, როგორც ზევით მოვიხსენეთ, იჯარადრებმა ქრთამით მოიშორეს მეტოქეები, გაიცა $6^{0}/_{0}$ დაკლებით ინჟენერთა შედგენილ ხარჯთ-აღრიცხვის ფასებზე, და მეორე, ანაკლიის საქმე, რომელიც უფრო დიდი საქმეა, გაცემულ იქმნა $45^{0}/_{0}$ დაკლებით, იმიტომ, რომ ამ მეორე საქმეში იმისთანა მდიდარი იჯარადარი არავინ გარეულა, რომ მეტოქეები დაექრთამა და წვრილ ფეხა იჯარადრები გულდასმით შეეცილნენ ერთმანერთს და მით ხალხის ნაამაგარს—სათემო ფულს რამდენიმე ათასი მანეთი გადაურჩა ზედ მეტს ხარჯს...

⁂ **ბათომი უშიშარი და უმართებულო რაინდი.** 13 აგვისტოს, ასე დილის რვა საათი იქმნებოდა, ბათომის სადგურიდან გამსვლელი სახალხო მატარებელი იდგა. სადგურზედ მრავალნი დასეირნობდნენ, ის იყო პირველიც დარეკეს, როცა მატარებელის მესამე კლასის ვაგონიდამ ახალგაზდა ყმაწვილი კაცი, ნ. უ—შაძე თავით ფეხამდე შეიარაღებული შურდულივით გადმოიჭრა და წინ შეეხეჩა იქვე მახლობლათ მოსეირნე ახალ-გაზდა ყმაწვილს, და ძალზე აღელვებული და ბრაზმორევით მიმართა შემდეგის სიტყვით: ყმაწვილო, თქვენა ბრძანდებით ბათუმელი კორრესპონდენტი? რომ საზიზღარ-სამარცხვინო ცნობებს გზავნით გაზეთში, რომელშიაც რაღაც ჭორებსა და ლანძღვა-გინებას თხუზავთ და მასთან განსაკუთრებით მთელ გურულებს სახელს გვიტეხ და მიწასთან გვასწორებ?... ამ სიტყვებზედ ცოტა არ იყოს შეკრთა მეორე ახალგაზდა კაცი და, ორიოდე სიტყვით უპასუხა უშიშარ რაინდს:—ყმაწვილო, მე სრულებით კორრესპონდენტი არა ვარო!—როგორარა, განა თქვენ არ ხართ კ. ო—რია, ე. ი. „მარტვილელი", რომელმაც რაღაც მოჭორებული ცილის წამებით გაზეთი „ცნობის ფურცელი"-ს 281 ნომერში საზოგადოდ გურულებს ერთობ სამარე გაგვითხარე? ბ-ნ მარტვილელმა ისევე გულ-გრილად მიმართა იმ რაინდს შემდეგის სიტყვებით:—მოთმინეთ, ყმაწვილო, რომ ორიოდე სიტ მოგახსენოთ; მართალია, მე გახ ვარ „მარტვილელი", ე. ი. იგ კ. ო—რია, მაგრამ მე არავისთ უსაბუთოდ შეურაცხყოფა არ მ ყენებია და რაც შეეხება, შეძლე და გვარად ვცდილობ, რომ ჩემ ერ გავლილ გზაზე ჭეშმარიტ ხაზი დააჩნდეს. რაც შეეხება, კორრესპონდენციას, შესახებ იმ რისა, რომელზედაც, როგორც თქ ამბობთ, გაზეთ ,,ცნობის ფუ ლის'' რედაქციაში მოჭორებუ ცილის წამება გამეგზავნოს, ეგ ველ შემთხვევაში თქვენ არ გექ ხებათ და მაინცა და მაინც თუ ჭირო იქნება შემიძლიან დავამტ ცო, რომ ჩემი ნაამბობი სრული შმარიტება იყო და არა ცილის მება. ეს იყო, ეს სიტყვები დაასრ ლა ბ-ნ მარტვილელმა, რომ უ შარ და უმართებულო რაინდ უ—შაძემ ცოტა არ იყო ხანჯა ზედ მოისვა ხელი, მაგრამ სწორ იმ დროს, რაღაც [illegible], მესამ დარეკეს, უ—შაძე მიატოვა ბ-ნ მა ტვილელი და შურდულივით გაე ნა მატარებლისაკენ და რა შევი მესამე კლასის ვაგონში, გამხეცებ ლმა მოაძახა: ,,რა დღეს და რა ხ ლო, ჩემს ხელიდგან ვერ წახვალი მატარებელიც დაიძრა

მხოლოდ რაც შეეხება ბ-ნ ,,მა ტვილელ'' წერილის სიმართლეს, რომელიც გაზეთ ,,ცნობის ფურ ლის'' 281 ნომერშია დაბეჭდილ თამამად-შემიძლიან მეც და სხვებ დავამტკიცოთ იგი უფრო მეტის მოაშკარავებით და ბ-ნ მარტვილე სრულს ჩვენ თანაგრძნობას ვუც ლებთ.

კ—ნე ნოდია

⁂ **დუშეთი. ჩვენებურ ხელო ნთა საყურადღებოდ.** ქალაქ დუშე ბევრი რამ სახელოსნოები და ხელ სნებიც აკლია, სხვათა შორის აქ მოიპოვება რიგიანი დალაქი, აქ დის მექუდე-ქონიც არ იყო, ეხ ერთი ქართველი კაცი ამოვიდა ღმერთმა უშველოს რომ დუქა გახსნა. ასევე არ არის ევროპიუ მეჩექმის დუქანი, რაც ერთობ ჭიროა, ევროპის თერძის ხსენებ ხსენებაც ასევეა. აქ თვით ჩვენებ რი ხაბაზებიც კი არ არიან, სპარსელ თათარს აქვს დუქანი, ინი კერენ ჩუსტებსა და წაღებს კაი ვაჭრობაც აქვსთ.

კარგი იქმნება, რომ ამ განცხად ბას ჩვენმა ხელოსნებმა ჯეროვ ყურადღება მიაქციონ და როგორ ქ. დუშეთშიაც ამოჰყონ თავი, რა განაც, როგორც ვიცით, მათი რ ცხვი დიდრონ ქალაქებში ერთ ბევრია და იგინი ხშირათაც ცუდ ობენ ხოლმე.

— **წიგნების გავრცელება.** ამ დღ ებში დუშეთში ამოვიდა ბ. ჰიჰინაძე და ქართული წიგნ ამოიტანა. ქართულ წიგნების ვრცელების საქმე არამც თუ რტო დუშეთში, არამედ მთელს მხარეში ისე დაქვეითებულია, რ მასზე უნაღვლესი აღარა იქმნება რ აქეთკენ მთელს სოფელს გაივლ და ერთს კაცს ვერ ნახავთ, რ ქართული ანბანი იცოდეს.

თვით ქ. დუშეთშიაც ერთობ მც რე რიცხვია წიგნის მცოდნე ყმაწ ლობა. ბევრს სოფელში დაბეჭდი წიგნი თვალითაც არ უნახავთ,

აქაურებმა ბ. ზ. ჰიჰინაძე სიამოვნებით მიიღეს, რადგანაც აღმოჩნდა რომ ამ პირს უკვე გადუწყვეტია მთელს არაგვის ხეობის სოფლებისაკენ წიგნების ხშირად გზავნა და ვრცელება.

— **სტამბის გახსნა.** სასიამოვნო გახლავსთ აგრეთვე ის, რომ როგორც ბ. ზ. ჰიჰინაძემ გვაუწყა, ერთს ქართველს ასოთ ამწყობს ბ. ივანე სულხანიშვილს, რომელიც მთავარ მართებლის სტამბაში მუშაობს, განუძრახავს ქ. დუშეთში სტამბის გახსნა. ამ საქმის დაარსებისთვის ზ. ჰიჰინაძემ ცნობებიც შეკრიბა. ყველამ იმედი მისცა აქ სტამბის საჭიროებისა, რადგანაც სტამბას წიგნის მაღაზიაც მოჰყვება, რაც დუშეთში არ არის და დიდს საჭიროებას კი შეადგენს, რადგან აქ 1000 კაცზე მეტი ქართველთ ჯარის კაცნი სცხოვრებენ სამუდამოთ.

წიგნის მაღაზია. ამას გარდა წიგნის მაღაზიას სამკითხველოც მექნებოდა, რაც აგრეთვე დიდს საჭიროებას შეადგე... სტამბას დუშეთს გარდა თიანეთის მაზრაც შეუწყობ საქმის ძლევით ხელსაო.

ღმერთმა ჰქნას, რომ ეს საქმე დროით განხორციელდეს. სასიამოვნო აქ ის უფრო გახლავთ, რომ სტამბა ხანდისხან წვრილ სახალხო წიგნებსაცგამოსცემს ხოლმეო.

მგზავრი.

*** **ს. ველისციხე** (კახეთი). **სოფლის თავხედი ,,სუდია“.** გაა რომ სოფლად პოლიციის მხრით მარტო მამასახლისი უნდა მოხელეობდეს, მაგრამ სულ სხვა სურათს ვხედავთ ველისციხეში. აქ გზირიდგან დაწყებული ვიდრე თვითონ მამასახლისამდისინ სულ მოხელეთდ განკარგულების მიმცემნი არან. მერე ეს ვაჟბატონები იქამდისაც წათამამდნენ, რომ, წარმოიდგინეთ, ჯანშელა სუდიაც-კი ბრძანებლობს. ამას ხმის გამცემი არავინა ჰყავს და თვით თავისად-კი ვის სახლში უვარდება, ვის ჰლანძლავს და შეურაცხყოფას აყენებს, ვის არბევს, ... რა საშინელების რისხვით არ ემუქრება.

ვსწერთ, რომ გაზეთის საშუალებით მაინც იქნება ყურადღებ მიაქციოს ვინმემ სუდია ჯანშელას ასეთს არა კანონიერს მოქმედებას და ცოტა ფრთა შეაკვეცოს თორემ, ხომ მოგეხსენებათ, დვილი შესაძლებელია ასეთ უვიცმა კაცმა წესიერების სამზღვარს გადაცილოს და მაშინ ოფიციალური ქაღალდების მიწერ-მოწერაც ამაო იქნება!

ჰამლეტი.

*** **ს. გურჯაანი** (კახეთი). **შუადღისას გაძარცული მოგზაური.** ერთი ახალგაზდა კაცი, ველისციხელი, ვანო ჯავახიშვილი ეს რამდენიმე წელიწადია, რაც ფარჩითა ვაჭრობს ახლო-მახლო სოფლებში და, სიმართლე უნდა ვსთქვათ, სინდისიერი მოვაჭრის სახელიცა აქვს ყოველ სოფლად დაშთენილი; 1[illegible] ამ თვისას, ზიარიდგან გურჯაანისკენ მიმავალს გზა-ტკეცილზედ შუადღისას შეხვდება ვიღაც უცნობი რაინდი ხელში ბერდენკით და დასძახებს: — ,,შესდექი, ქამარი და ის ფულიც გაქვს დააწყე ემანდვე გზაზედ შენის ნებით, ნუღარ მალაპარაკებო, და შენც თითონ გაუდეგ გზასაო!..“ მოვაჭრე ამ მოულოდნელმა შემთხვევამ ძრიელ შეაკრთო, ბოლოს, როგორც იყო მოვიდა გონს, შემოიხსნა წელიდგან ვერცხლის ქამარი დაუწყო მუდარება, რომ ფული არა მაქვსო. რაინდმა თავისი არ დაიშალა, გამოართვა ფულიც და არხეინად გაუდვა გზას.

როგორც ხმა ისმის ბოქაულთ ჯოჯაძეთა მეცადინეობით ზემოხსენებული რაინდი თავის ამხანაგებით მეორე დღესვე შეუპყრიათ და ამ ცოტა ხანში წარუდგენენ მართლმსაჯულებასო.

ჰამლეტი.

*** **ს. ანაგა** (ქიზიყი). **ვენახებით გატაცება. გვალვა.** ეს რვა-ცხრა წელიწადი იქნება, რაც აქაურ ვენახებს ეწვია ახლა ახალი სენი (ოიდიუმ), აქაურებისაგან „წერნაგად“ წოდებული; ნაცარიკი (ოიდიუმ) წინადაც შეჩვეული ჭირი იყო. როდესაც აქ პირველად დაინახეს დანაცრული ვაზები, ცოტა არ იყო შეფიქრიანდნენ; მაგრამ, რადგანაც ეს ჭირი იმისთანა მძლავრი მტერი არ გამოდგა, რომ ვენახებისთვის სრულიად ბოლო მოეღო, დამშვიდდნენ და მამა-პაპურ უზრუნველობას მისცეს თავი, ისე რომ ანდაზა: ერთი ჭირი მარგებელიაო, ვენთვის სიცრუე გამოდგა; საჭირო ყოფილა მეორეც. მართლაცა და, როდესაც მილდიუმ დარია ვენახებს ხელი და შეუბრალებლად დაუწყო მუსრის გავლება ვაზებსა და ყურძენს, ყველანი მიხვდნენ, რომ მას ისე ადვილად ვეღარ გადურჩებიან. ვენახის წამლობის შემოღებას აქაც, როგორც ყველგან, თავისი ისტორია აქვს. ჯერ მხოლოდ აქა-იქ გამხმარი ანუ წითელი წერტილებით შეკუნწლული ფოთლები გვიჩვენებდნენ, რომ ვენახებს მილდიუ გაჩენიათ და, მაშასადამე, ჯერ საგრძნობელი ზარალიც არ მოჰქონდა, რომ ერთმა ინტელიგენტმა იყიდა ვერმორელის სასხურებელი მანქანა, საწამლებლად საჭირო მასალა და, რადგანაც თვით სასმსახურის გამო წამლობის ვადაზე ტფილისში იმყოფებოდა, ყველა ეს გამოუგზავნა მამას, თანაც დაწვრილებით და გასაგების ენით აუწერა, როგორ უნდოდა წამლობა. როგორც განუვითარებულმა კაცმა, მამამ ზედაც არ შეჰხედა ვერმორელის მანქანას. როდესაც ინტელიგენტი საზაფხულოდ შინ მოვიდა, აიღო და თუმც დაგვიანებული იყო, მაინც უწამლა თვითონ ვენახს, წამლობამ სასურველი გავლენა იქონია, ისე რომ შემდეგ იმისა მამამ და რამდენმამე შეგნებულმა გლეხებმაც უწამლეს.

იმ დრომდის მილდიუ ესე გაძლიერდა, რომ სათქმელი გამოსავალი მარტო ნაწამლ ვენახებსა ჰქონდა. მაშინ კი ყველამ ნათლად დაინახა წამლობის სარგებლობა. ამის შემდეგ დიდი ხანი აღარ გასულა, რომ ყველამ მიჰყვეს წამლობას ხელი. აღარაფერსა ზოგავდნენ სასხურებელი მანქანისა და შაბიამანის მოსაპოვებლად. ზოგს რომ მანქანა და საჭირო ბოჰკები ვერ ეშოვნა, ბორდოსის სითხეს დიდს თაბახში აყენებდა; დააჭერინებდა ვისმე თაბახს, თითონ ახალ ცოცხს აიღებდა და იმით ასხურებდა. ძველი მტერი ,,ნაცარიც“ მაშინ მოაგონდათ და სასტიკათ დაუწყეს გოგირდით დევნა. ეხლა თითქმის ყველას შეუძენია საჭირო მანქანები და ბეჯითად უმკლავდებიან ყველა ვაზის სენს.

აქ ღირს შესანიშნავი კიდევ ის არის, რომ სხვაფრივაც კლავინდებურზედ უკეთესად უწყობენ ვენახს ხელს. ბევრმა ხვნა-თესვაზედაც აიღო ხელი, რომ უფრო კარგა მოუაროს ვენახს. ერთმანეთ რომ შეხვდებიან, პირველად იმას იკითხავენ: ვენახი როგორი გაქვსო. იმ ალაგს, სადაც ვენახები აქვთ ანაგელებს, ერთი სიკეთე სჭირს, რომლითაც აიხსნება ამათი ვენახით გატაცება; სეტყვა ძალიან იშვიათად მოდის. თუმცა საკუთრად ანაგა და მახლობელ სოფლის ვენახები თითქმის ყოველ წელიწადს ისეტყვებიან, მაგრამ აქ კი ხშირად ათი წელიც გადის, რომ ერთი სეტყვის გუნდა არ ჩამოვარდება.

სამაგიეროდ გვალვა ჩვენი ხშირი სტუმარია. მდგომარე ზაფხულსაც ივნისის ნახევრიდამ დაწყობილი ივლისის უკანასკნელ რიცხვებამდე ცამ ისე შეიკრა პირი, რომ ერთი წვეთი არ გვაარდნია. სიცხე კი თან და თან უმატებდა. ზოგჯერ ისე ცხელოდა, რომ გახურებულ ქვიშაში კვერცხი შეიწვებოდა. ბალახი მთლად ამოიწვა. არც ყურძენს დაეყარა კეთილი წვნიკი, გვვი.ნ გამოტანილი მარცვლები დახმა, სხვებიც არა მსხვილდებოდნენ. ეგრე რომ კიდევ გაგრძელებულიყო, ვენახებს ბევრს ვერას გამოვრჩებოდით, მაგრამ ღმერთმა გვიბრალა და 28 ივლისს მშვენიერი ჟუჟუნა წვიმა მოვიდა, რომელმაც საკმაოდ დაალბო დედა-მიწა და გააგრილა ჰაერი.

ყურძენი ეხლავე ძალიან მოფერიანდა, თვალიც კარგა ხანია შესულია, თუ შემდეგში აღარაფერი დაუშავა რა ვენახებს, ღვინოს ბევრს გავყიდით.

ა. მ.

*** **ს. მარტყოფი. ქართული წარმოდგენა.** 16 ამ თვეს ადგილობრივმა სცენის მოყვარებმა წარმოადგინეს ერისთვის თხზულებიდამ „ძალათ ექიმი“ და «უჩინ მაჩნის ქუდი« შემოსავალი ოც მანათამდის ყოფილა რომელიც იქმნა მომავალ სამკითხველოსთვის გადადებული.

— † **გ. ნ. ბადაშვილი.** 17 აგვისტოს მარტყოფში მთავარ ანგელოზის საყდრის ეზოში დაასაფლავეს დიდი ხნის ავათმყოფობიდ გარდაცვლილი ტიტულიარნი სოვეტნიკი გიორგი ნიკოლოზისძე ბადაშვილი (არაბიშვილი). წინედ დიდი შეძლების პატრონი ყოფილა და აწ ხელ-მოკლედ დარჩა წვრილ-შვილი.

*** **ფოთი. ბოროტი მოქმედება.** გაზ. „ჩერნ. ვესტ“-ს ატყობინებენ ფოთიდამ შემდეგ ამბავს: ფოთელი ღარიბი მოსახლეები უკიდურესად შეწუხებულნი არიან ს. ჩ-ში მცხოვრებელთაგან. ფოთის ღარიბი მცხოვრებნი საქონლით მუშაობენ, ბარგს ზიდავენ კამეჩებით. საღამოობით კამეჩებს იქვე ახალს ქალაქის საძოვარზედ გაუშვებენ ხოლმე. უკანასკნელ ხანამდე ყველაფერი კარგა იყო, მაგრამ ბოლოდროს რაღაც უცნაური ამბავი ხდება: დილით გავა ფოთელი მუშა თავის კამეჩის მოსაყვანად, სადაც ის ჩვეულებრივ ეგულება ხოლმე, მაგრამ სადღაა კამეჩი? რამდენსამე დღეს დაეძებს დაკარგულ კამეჩს საწყალი მუშა და ბოლოს გაიგებს, რომ მისი კამეჩი ს. ჩ—შია დამწყვდეულიო; წავა სოფელში, ნახამს, რომ მართლა იქ არის მისი საქონელი ხეზედ თავ მიკრული — სამი ოთხი დღის უსმელ უჭმელი. ბოლოს თუ გამოდის, ვითომ ფოთელი კამეჩი თავს ანებებს მშვენიერს საძოვარს, რომელზედაც პატრონი უშვებს საღამოთი, და ოცი ვერსის იქით მიდის, გადადის ჩ—ლების მამულში, და ჩ—ლები, რასაკვირველია, ამას არ ითმენენ საქონელს იჭერენ და პატრონებს ხარჯს ადებენ: თითო კამეჩის პატრონმა უნდა 10 – 15 მანათი დადოს და საქონელი წაიყვანოს, თუ არა, და კამეჩს არ ანებებენ და შიმშილით სულს ამოუხუთავენ. ნამდვილად კია როგორც შეიძლება მიხვდეს მკითხველი, ჩ—ლები ღამ-ღამობით გამოდიან ფოთის საძოვარზედ, დაირეკამენ კამეჩებს და წაიყვანებენ შინ, ამითი ჩ—ები რა თქმა უნდა არა ფერსა კარგავენ, პირ იქით სამი ოთხი დღის შემდეგ 10—15 მანათს მოწიწებით მოუტანენ ხოლმე ფოთელი მუშები!..

*** **ქუთაისი. გადაჭარბებული ბაჟი.** 10 აგვისტოს ერთმა საწყალმა სოფლელმა წყალტუბოს მცხოვრებმა ალექსი ბერაძემ თავის სიღარიბისა და გაჭირვების გამო თვისი კუთვნილი საუღლე ხარი შემოიყვანა ქალაქში გასასყიდად. მე ვიცნობ იმ ბერაძეს, ძლიერ ღარიბი კაცია და უკიდურეს მდგომარეობისა გამო თვითონ და მისი შვილიც მოჯამაგირედ არიან. ნათქვამია: ,,რაც მოხდეს, სოფელს გადახდესო“, მართლაც ასე მოსდისთ საწყლებს.

დიდი ხანი არ არის, რაც ქუთაისში ბაჟი შემოიღეს ოთხ-ფეხზედ. შემოსვლისთანავე ოთხ-ფეხის პატრონს ბილეთს აყიდვინებენ და მერმე გინდა გაყიდოს და გინდ არა, მის გაკითხვაში არავინ შედის. ზემოხსენებულს ბერაძეს ერთი აბაზიც არ ჰქონდა, რომ თავი დაეხსნა მებაჟესაგან; როგორც იქნა, ერთი აბაზი ვალად იშოვნა და ბილეთი იყიდა, საღამოს-კი გამოიარა თავისს პილეთით და ხარიც თან მიჰყავდა, რადგან ვერ გაეყიდა ღირებულ ფასად.

საბრალომ გულ-დაწყვეტით მიამბო: გაჭირვებამ მაიძულა, — მესამედ შემოვიყვანე ხარი, მინდოდა გამეყიდაო და სამ გზობისა სამი აბაზი გადვიხადე და მასთან ხიდის ფულიც ექვსი კაპიკიო, მაგრამ გაყიდვას-კი არა გაეწყო-რაო!..

კარგი იქნება, ვისიც ჯერ არს, ყურადღებას მიაქცევდნენ და სამადლო საქმეს იზამდნენ: ოთხ-ფეხს საქონელს მხოლოდ გაყიდვის დროს დაბაჟავდნენ და წინ-და-წინ-კი არ გაატყავებდნენ უიმისოდაც სილატაკით გაჩანაგებულს ხალხს.

ნ. მურუსიძე.

*** **ს. ქარელი.** (ქართლი) **აქაური წვრილი ამბები.** ზემო ქართლის სოფლებში, ცხინვალის შემდეგ, ქარელს პირველი ადგილი უჭირავს ამ სოფელს ქარელი იმიტომ დარქმევია, რომ აქ ერთობ მძაფრი ქარი იცის. ქარელში სცხოვრობენ მართლ-მადიდებელნი ქრისტიანენი, ურიები და სომხები.. აქ დუხაბორებიც ბევრნი არიან, ერთ დუხაბორს განგებ დაველაპარაკე და ძრიელ გამაოცა იმისმა ლაპარაკმა.

ქარელში ისეთივე დუქან ბაზარია, როგორც ცხინვალშია, მაგრამ ის კი ვერაფერია, რომ საკლავი ყოველ ცისმარე დღეს არ იკვლის

აქაურები უფრო ხვნა თესვას მისდევენ, რადგანაც აქ ბევრი ტრიალ-ტრიალა მინდვრებია, რომლებსაც ირგვლივ ჩამოუდის მშვენიერი მდინარეები: ლვინო გათქმული, მშვენიერის კალმახით საამო მტკვარი.

ამ სოფელში სკოლაც არსებობს და დიდის გულ-მოდგინებით ასწავლის თურმე თავადის ასული მარიამ ციციშვილისა ქალებსა და ვაჟებს ერთად.

იქ ხუთი ეკკლესიაა და მღვდელი კი ორია. აქაურები ძრიელ ემადრიელებიან თავიანთ სულიერ მამებს და განსაკუთრებით მამა დეკანოზს ნიკოლოოზ ცხვეთაძეს.

ქარელი ძველის ძველი სოფელია და აქ ბევრს გაიგონებთ ლეკიანობის ამბებს. აქ არის აგებული ერთი უზარ-მაზარი ციხე თვისის ფართო გალავნით, სადაც ეცხოვრათ აქაურებს ლეკიანობის დროს და მხნედ უბრძოლიათ მათ წინააღმდეგ.

რკინის გზის სადგურიც არი აქა, მაგრამ სოფლელებს ხილეულობა კი არა ჩამოაქვთრა გასასყიდ რადგანაც ქარელში იშვიათად აოის ვენახები.

ტყეც ძრიელ ახლოა, საიდგანაც ბევრი ტივის ხეები გამოაქვსთ აქაურებს და ტივებსა ჰკვრენ ქალაქში ჩასატანათ, ტივის ხეების სახერხი ქარხანა არსებობს ევროპიულის მანქანებით მოწყობილი.

აქ აბანოებიც არის ქარებით ავად მყოფთათვის. ამ აბანოებს ხვედურეთის აბანოებს ეძახიან, მაგრამ სწორედ ვერ ითქმის, რომელ სოფელზედ უფრო ახლოა — ხვედურეთზე, თუ ქარელზედ. ქარელებს საკუთარი ფერშალიცა ჰყავთ. აქაური ფერშალი ახალ გაზდა ვ. ცხვეთაძე, რომელიც გულ მოდგინედ უვლის ავადმყოფებს ხშირად უსასყიდლოთაც კი, ძრიელ კარგად ინებებენ რომ სხვა ახალგაზდა ფერშლებიც მოეფინებოდნენ ჩვენი ქვეყნის სოფლებს და შეძლების დაგვარად შველოდნენ ტანჯულ ხალხს.

მგზავრი.

*** **ს. ხიდისთავი** (გურია). **ყალბი სასწორის გამოაშკარავება.** აქაურ მოვაჭრეებმა: ჰაე, ჰოე და ჰიე შეადგინეს ამხანაგობა (რომელს შეიძლება კაცმა დაარქვას „[illegible] მგლეჯელი“) და დაიწყეს გ[illegible] სოფლებში თამბაქოს შესყიდ[illegible] დეს რამდენიმე ათასი მანათი[illegible] ბაქო სხვა-და-სხვა პირებისა[illegible] მათ შორის აზნ. ალექსანდრე[illegible] ძისაგან. ბერიძემ შეამჩნია სასწო[illegible] სიყალბე და როდესაც გაშინჯეს, აღმოჩნდა ვაჭრების ყოვლად ბოროტი საქციელი. ეს განუცხადა ალექსანდრე ბერიძემ ადგილობრივს პოლიციას, რომელმაც ოქმი შეუდგინა და ყანთარი დღუბექდა ზემოხსენებულ ვაჭრებს.

არა ერთხელ მომხდარა გურიის სხვა-და-სხვა კუთხეებში ასეთი მძარცველობა, მაგრამ ყოველთვის უყურადღებოდ დარჩენილა და ვგონებ არც ახლა მოუვათ ამ ვაჟბატონებ რაიმე უსიამოვნება, რადგანაც ბ რიძემ ისევ გადახედა ამ მძარც ლებს მოწყალე თვალით და მაჟას ლისმაც ურჩია საქმე ,,მორიგები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაათავეთ, ყანთარი ისევ დაუბრუნეთო...

საქმე რით გათავდება, ჯერ არავინ უწყის, მაგრამ მოსალოდნელია უყურადღებოდ დარჩეს, რადგანაც იგი დამოკიდებულია ადამიანზედ... დიახ ადამიანზე, რომელმაც სასყიდლისთვის იესო ქრისტე არ დაინდო და გაჰყიდა.

გურის-ტბიელი.

⁂ **ს. წუნარი.** (ქართლი). **უწესრიგობა და თვითნებობა მამასახლისის არჩევანზედ.** აგვისტოს ათში შეკრებულ იქმნა წუნარის სამმართველოსთან ოთხი სოფელი: ს. დვანი, ავნევი, წული და წუნარი, და აგრეთვე გარეშე ოსები, რომლებიც სცხოვრობენ აქა-იქ ცოტ-ცოტა მეკვამურები. როდესაც დადგა ხალხთა ბრბო, გაიყვნენ სოფელ-სოფელად და დაიწყებს არჩევანი თუ რომელი უნდოდათ; როდესაც მორიგდენ, მაშინ ქართველთა ბრბო ერთს ალაგზე შეგროვდა და ოსთა—მეორე. როდესაც მობრძანდა ადგილობრივი ბოქაული, ქართველთა ხალხმა წარმოსთქვა: ჩვენ გვინდა ჩვენი კაცი დავიყენოთო, სუყველამ ერთად წამოიძახეს; ბოქაულმა მოახსენა, რომ გამოცხადებულიყო ის კაცი, რომელიც უნდა ყოფილიყო არჩეული; ამდროს წარმოსდგა ბოქაულის წინაშეის კაცი და მოახსენა, მე გახლავართო, ბოქაულმა მოილაპარაკა მასთან და უარი განაცხადა, რადგან რუსული ლაპარაკი დაწერა-კითხვა არ იცისო; —ხალხმა თუმცა სულით და გულით ინდომა, მაგრამ ბოქაულმა უარი ჰყო, დაიშალაისრევ ხალხთა კრება და დაიწყეს სხვა კაცის დასახელება- ამ საქმემ გასტანა საღამოს რვა საათამდე და მერმე მობრძანდა ბოქაული და ბრძანა: აბა თქვენგან ამორჩეული კაცი მიჩვენეთო. ამ დროს წარმოსდგა პეტრე ჩიბირაშვილი და მოახსენა, მე გახლავართო; ბოქაულსაც მოეწონა და მამასახლისად დააყენა.

კ. ფრონისპირელი.

⁂ **სოხუმი საშიშარი ხიდები.** ბევრი არა ჩვეულებრივი მოვლენა ხდება ჩვენს უპატრონო სოხუმში, მაგრამ ყველა ამას შეეჩვია ხალხი და როგორც თან შეზრდილს ჭირს, ისრე უყურებს; მაგრამ ახლა კი იმისთანა მართლა და არა ჩვეულებრივ მოვლენას ვხედავთ, რომ არ შეიძლება გული არ აუჩქროლდეს ადამიანს. მე მოგახსენებთ სოხუმიდან დრანდაში და იქიდან შორს მიმავალის გზაზე. ორ წელიწადზე მეტია, რომ ამ გზაზედ ხიდები ერთობ ყველა დაზიანებულია, მაგრამ არავინ კი არას ზრუნავს მათ შეკეთებაზედ. დღეში ორჯერ ,,დელეჟანი‘‘ მიდის-მოდის ამ გზაზედ და ხალხი მიჰყავს — მოჰყავს. რაკი ხიდზედ შესდგამს ფეხს, მაშინ მგზავრების ბედ-იღბალი ისეთს მდგმოიარობაში არის, როგორც მგზავრი იყოს ძველ გემზედ დიდი ღელვის დროს ზღვაში. ენა ვერ გამოსთქვამს და კალამიც ვერ ასწერს ამ ხიდების და გზის ამბავს!

ამბობენ, ვითომც, ორი წლის წინეთ გადიდვა ამ გზებისთვის საჭირო ფული, მაგრამ სადღაც დიდ ხახაში ჩავარდა და აღარ ჩნდებაო!.

ი. ბ-ძე.

⁂ **ქ. თელავი. გონებრივნი და სულიერნი გასართობნი.** წელს ჩვენმა თელავმა თითქმის ყველა საგარაკო ადგილებს გადააჭარბა. აქ თითქმის ყოველ კვირა [illegible] წარმოდგენაა ხოლმე ხან ქართულად და ხან სომხურად; ყოველ შაბათობით კლუბში იმართება საცეკვავი საღამო და ხან განსაკუთრებით საბავშო საღამოები. ერთი სიტყვით ვქეიფობთ. გვირგვინად ამ წარმოდგენების უნდა ჩაითვალოს კონცერტი, რომელიც გამართული იყო ათს მარიამობისთვეს თელავის წმ. ნინოს სასწავლებლის სასარგებლოდ, ამავე სასწავლებლის შენობაში.

კონცერტში მონაწილეობას იღებდნენ ა. ი. ვოლოხოვისა, გენეროზოვისა, გრიპიუსისა, შიუკაშვილი და სხვა. ამავე კონცერტისთვის შემდგარი იყო მომღერალთა გუნდი, რომელსაც მართვიდა ცნობილი ლოტბარი ზ. ი. ჩხიკვაძე. გუნდში ოცდა ხუთამდე ქალი და კაცი იღებდა მონაწილეობას და როგორც მოსალოდნელ იყო გუნდი საუცხოვოდ იყო მომზადებული. გუნდმა რამდენიმე ქართულ-რუსული სახალხო სიმღერები შეასრულა და ორი სიმღერაც ოპერებიდგან: ერთი ვებერის მუსიკა და მეორე ჩაიკოვსკისა. ჯერ ამ გვარი კონცერტი თელავს არ უნახავს და არც ამოდენა ხალხი როდესმე დასწრებია. ყველანი მშვენივრად ასრულებდნენ თავიანთ ნომრებს და განსაკუთრებით გუნდი ზ. ჩხიკვაძისა, რომელმაც თელაველებს დაგვანახვა, თუ რა არის და რა ძალა აქვს კაცის დასატკბობად ხელოვნურად გაწყობილს და შემუშავებულ გუნდს. ერთის სიტყვით, საზოგადოების აღტაცებას და ვაშასა, ტაშის კვრას სამზღვარი არა ჰქონდა.

ურიგო არ იქნებოდა და ფრიად სასურველია, რომ ზ. ჩხიკვაძე, რომელიც ყოველ წელს მოდის თელავში საგარაკოთ, არ დაიზარებდეს და პატივცემულ მოყარეთა დახმარებით ყოველ ზაფხულს ასიამოვნებდეს საზოგადოებას. დიდი მადლობის ღირსნი არიან აგრეთვე ყველა დანარჩენი პირნი, რომელთაც არ დაიზარეს და მონაწილეობა მიიღეს ამ ფრიად სასარგებლო საქმეში.

დამსწრე.

⁂

პოლიციის მატიანე

ულმობელი ოსტატი. ავლაბრელს მეჩექმეს ალ. ცატუროვს სასტიკად გაულახავს თავისი შეგირდი ზირაბიშვილი; ამ ბავშვს ოსტატისაგან ნაწყალობევი ძველი ხის ყუთი გაუყიდნია: ამაზე გაჯავრებულა ოსტატი, შეუყვანია შეგირდი ცალკე ოთახში, ჯერ ხელით უცემნია, რაც ძალი და ღონე ჰქონია, და როცა დაღლილა, მოსდგომია წყალში დასველებულის მათრახით. გალახული ბავშვი ქალაქის ექიმს ბ. მაღალაშვილს შეუმოწმებია და სცოდავს თითქმის მთელი ტანი დასისხლებული ჰქონია და ხორცის კანს ქვეშ სისხლი დაჰგუბებია ბევრს ალაგას. დამნაშავე პასუხის გებაში იქმნა მიცემული და, რა თქმა უნდა, მისს მხეცურს და ულმობელს საქციელს ღირსეულადაც დასჯის სამართალი.

⁂

სამეცნიერო ამბები

თევზი უწყლოთ. სუდანში (საფრანგეთის აფრიკაში) ერთი უცნაური თევზი არსებობს, რომელიც წელიწადში ათ თვეს მიწის ხვრელში ცხოვრობს. დღისით ხვრელებში არის დამალული, ღამე-კი გამოდის გარეთ და მინდორში ხორბლის მოსაპარათ მიდის. ამ თევზებს განსაკუთრებული სასუნთქი აქვთ ჰაერისა. წელიწადში ორთვეს ატარებენ წყალში — წვიმიან დარში მომეტებულად. ეს თევზი ჯანარსა ჰგავს და ერთი საჟენის სიგძისა იზდება.

⁂

სხვა და სხვა ამბები

ცხენების უვარგისობა თანამედროვე ცხოვრებაში. ყველამ იცის, როგორ მიდის წინ ტეხნიკური გამოგონება: მოიგონეს ხალხის მატარებელი რკინის გზა, ტელეგრაფი. სხვა-და-სხვა თვით მოქმედი ან ორთქლით, ქარით და ელექტრონით მოძრავი მანქანები, ცხენის რკინის გზის მაგივრად ელექტრონის რკინის გზა, ეტლების მაგივრად ველოსიპედები და სხვ. წინანდელ დროში, სანამ ყველა ამათს მოიგონებდენ, მათ საქმეებს პირუტყვები ასრულებდენ: ვირი, ხარი და განსაკუთრებით ცხენი. ეხლა-კი პირუტყვის შემწეობას წარმოებაში საზოგადოთ და კერძოდ ცხოვრებაში ძალიან უმნიშვნელო ადგილი უჭირავს. ამერიკაში, სადაც უფრო ძლიერ არის პრაქტიკული ტეხნიკა განვითარებული, ცხენებს დაეკარგათ ფასი მაგალ. ამ ათი წლის წინად ღირებული 100 მან. ცხენი იმავე ღირსებისა ეხლა იყიდება 25 მანათად (დაიკლო 70% ფასისა). სასიარულოთაც-კი აღარ ხმარობენ ამერიკელები ცხენებს. ისინი იმ აზრისანი არიან, რომ უფრო სარგებლიანია კაცსა ქონდეს ისეთი მანქანა, რომელსაც არც მოვლა, არც ცალკე სახლი, არც სმა და არც ჭამა უნდაო (ველოსიპედი),—სანამ იყიდო ცხენი, რომლის შენახვა ძალიან გასაჭირია და ძვირათ ჯდებაო.

⁂

წვრილი ამბავი

გულგატეხილი რედაქტორ-გამომცემელი. ერთის გაზეთის გამომცემელს გეორგიაში (ამერიკა) განზრახვა აქვს თავი დაანებოს თავის საქმეს და ამის მიზეზად შემდეგი ახირებული მოსაზრებანი მოჰყავს: როდესაც ბავშვი იბადება—ექიმს თუ ბებიას 20 მანათამდე აძლევენ, რედაქტორს-კი—0; ახლად დაბადებულის მომნათვლელ მღვდელს აძლევენ 8 მანათამდე და რედაქტორს—00; როდესაც დაქორწინდება, მღვდელს ჯვაროსან სასყიდელს მიართმევენ—რედაქტორი-კი, რომელიც დაწვრილებით მოათავსებს ხოლმე თავის გაზეთში ქორწილის ამბავს, გადმოსთვლის დამსწრეთა და მათ მორთულობას და უნატრის მეფე-დედოფალს უთვალსავე ბედნიერებას—იქნებ ღირსოს როგორმე საქორწილო ქადას ნატეხი, უმეტესს შემთხვევაში-კი 000-ით აკმაყოფილებენ. ბოლოს, ადამიანი მოხუცდება და კვდება—მღვდელს 8 მანათამდე მიართმევენ, ექიმს—10—20 მან. და მესაფლავესა და მეკუბოვეს—50—100 მან., რედაქტორს-კი, რომელიც მიცვალებულის ნეკროლოგსა ჰბეჭდავს და უნატრის საუკუნო ხსენებას—000-ს მიართმევენ. ამ ნაირად კაცის დაბადებით, მონათვლით, დაქორწინებით და გარდაცვალებით ყველა წოდებისა და ხელობის კაცი სარგებლობს რედაქტორის გარდა. სწორედ ,,ახირებული პროფესიაა‘‘.

განცხადებანი

რედაქციისაგან.

შეღავათიანი განცხადება

,,ცნობის ფურცლის‘‘ რედაქცია იმ პირით, რომელთაც სჭირდებათ განცხადება რაიმე საქმის მოსაპოვებლად, მაგ.: მასწავლებლებს, მოწაფეთ, ექიმებს, ვექილებს, მწერლებს, მთარგმნელებს, წიგნების გამომცემელთ და სხვათა, განცხადებას უბეჭდავს სულ მცირე ფასად: სტრიქონი პირველ გვერდზე 3 კაპ. (ორი შაურის მაგიერად) და უკანასკნელ გვერდზე 2 კაპ. (შაურის მაგიერად).

სარძეო
,,ლისი
სასახლის ქუჩა,
თავად-აზნაურთა
ქარვასლა № 11
და 118, თეატრ
გვერდზედ.
მსურველთ ყო-
ველ-დღე შე-
ძლიანთ იშო-
ნონ
რძე, მაწონი, ჩაი, ყავა, კაკაო
ნაღები, კარაქი, შოკოლადი, კრემ
ყველი, ნაზუქი, ჟელე, მურაბები
მაროჟნი და სხვა ტკბილეულობა
ხაჭაპურები, ნაზუქები და ფუნთუ-
შები კარაქით, ყველით, კვერცხი
და სხვა-და-სხვა საუზმე.
ფასი ჩვეულებრივზე მეტად იაფი და
ყველასათვის ხელ-მისაწდომი.
ვაჭრობა დილიდან საღამომდე.
МОЛОЧНАЯ „ЛИСИ“
Дворцовая ул. д., Грузинск. Дворянс
№№ 117 и 118.
(15—4)

ახალი ყოველ-თვიური ჟურნალი
,,კრებული‘‘
უკვე იბეჭდება და ხელის-მომწერლებს დაურიგდება 1-ლ ენკენისთვეს
წელიწადი ითვლება ენკენისთვიდან ენკენისთვემდე.
წლიური ფასი ტფილისში **6** მანეთია, ხოლო სხვა ქალაქებ-დაბა-სოფლებში გაგზავნით—**7** მან., ნახევარი წლით **4** მან.
ჟურნალი ცალკე ნომრობით არ გაიყიდება.
ხელის მოწერა მიიღება
ტბილისში: „წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში შიო ქუჩუკაშვილთან (სათავად-აზნაურო ქარვასლაში). ელენე ტონოვსკისთან—ბიბლიოთეკაში.
იოსებ მერკვილაძის მაღაზიაში (ლორის-მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახ. № 4) და ტფილისის ამხანაგობის „შუამავალის“ მაღაზიაში.
ქუთაისში: ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიაში და მიტრ. ლალიძესთა
ბათუმში: მარიამ ივანეს ასულ ელიავასთან, დოქტორ ვოლ‘კა
თან და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.
ფოთში: სოფრონ მგალობლიშვილთან, იაკობ ფანცხავასთან, ნინო ბერეჟიანთან, იოსებ კოხრეიძესთან და ვლადიმერ ახობაძესთან.
ოზურგეთში: კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.
ლანჩხუთში—„შუამავალში“, კ. თავართქილაძესთან.
საჭილაოში—„შუამავალში“, მასთანვე.
საჩხერეში: ყარამან ჩხეიძესთან.
ჭიათურაში: ირაკლი დეკანოზიშვილთან.
ყვირილაში (ზესტაფონში): დეკანოზ დავით ღამბაშიძესთან და ალექსანდრე არაბიძის წიგნის მაღაზიაში.
წიფაში: კირილე ხარაძესთან.
ზუგდიდში: კნეინა ანეტა დადიშქელიანთან.
სენაკში: ბესარიონ დავითის ძე ქავთარაძესთან, სამსონ ყიფიან და კოწია თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.
ონში: თავ. ქაიხოსრო გელოვანთან.
განჯაში. ალექსანდრე მიქაბერიძესთან და სოლომონ დოლიძეს
ბაქოში: გიორგი დეკანოზიშვილთან.
კავკავში: ალექსი ბეს. ჭიჭინაძესთან და ივანე ჩითაიშვილთან
ხონში: ივანე შარაშიძესთან.
გორში: ნიკო ლომაურთან, მიხეილ ილურიძესთან და რომა ფანცხავასთან.
თელავში: ბარბარე პაატას ასულ სულხანიშვილთან, კნიაჟნა მა ამ ესტატეს ასულ ვახვახიშვილთან და ივანე კოლელიშვილთან.
სიღნაღში. დ. მაჩხანელთან დეპოში და თავ. დ. ჩოლოყაშვილ
ახალციხეში: გრიგოლ ბურჭულაძესთან.
ახალქალაქში: ილია ალხაზიშვილთან-
ხაშურში: იოსებ ნიკოლოზის ძე ფანცულაიასთან.
მოლითში: პავლე კურცხალიასთან.
ბრეთში: თავ. ვანო ავალიშვილთან.
გუდაუთში (სოხუმის ოლქში) გიორგი ბაღდავაძესთან.
ალსტაფაში მიხეილ გორდაძესთან.
შორაპანში: სამსონ ლუკას ძე ყაზაიშვილთან.
თიანეთში: იოსებ ცისკარაშვილთან.
ბ.ბ. აგენტებს ვთხოვთ ხელის-მომწერლების სიები დროზე გამოგვიგზავ
ადრესი: **Въ Тифлисъ.**
Въ Редакцію грузинскаго журнала
„Кребули“.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20 Августа 1897 г.
სტამბა ქ. ი. ,ხელაძისა ლორის-მელიქოვის ქ., № 28.
რედაქტორ-გამომცემელი **ვალ. გუნია**